ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
დამატებითი პროგრამა
არქეოლოგია
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	**დამატებითი პროგრამა: არქეოლოგია**
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	6 სასწავლო სემესტრი, 60 კრედიტი 1 კრედიტის მოცულობაა - 25 საათი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2022 წელს და ექვემდებარება განახლებას ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი ნოდარ ბახტაძე

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

დამატებითი პროგრამა შეთავაზებულია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ირიცხებიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე. დამატებითი სპეციალობის არჩევა სტუდენტებს შეუძლიათ მე-2 სემესტრის დაწყებამდე.

პროგრამის მიზნები

დამატებითი სპეციალობის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ზოგადი ცოდნა არქეოლოგიის დარგის საფუძვლების, დანიშნულებისა და სპეციფიკის შესახებ. ასევე, შეასწავლოს მას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის პრეისტორიული და ისტორიული არქეოლოგია (ქვის ხანა, ბრინჯაოს ხანა, რკინის ხანა, ანტიკური ხანა და შუა საუკუნეების არქეოლოგია).

სწავლის შედეგები და კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)

პროგრამის კურსდამთავრებული:

1. ავლენს ზოგად ცოდნას არქეოლოგიის საფუძვლების, მისი ძირითადი თეორიების, მიდგომების, მეთოდების და განვითარების ტენდენციების შესახებ;
2. ავლენს საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის (კავკასიის რეგიონი, მახლობელი აღმოსავლეთი, ხმელთაშუა ზღვისპირეთი) პრეისტორიული და ისტორიული პერიოდის არქეოლოგიის (ქვის ხანა, ადრეული ლითონების ხანა, ბრინჯაოს ხანა, რკინის ხანა, ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები) ფართო ცოდნას;
3. წინასწარ განსაზღვრული მეთოდების შესაბამისად, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით შეუძლია მონაცემების (წყაროები, მასალები და სხვა) მოპოვება და დამუშავება არქეოლოგიური დაზვერვებისა და კვლევა-ძიების (საველე, ლაბორატორიული) ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით.

სწავლების მეთოდები

- ლექცია;
- სემინარი;
- პრაქტიკული მეთოდი (საველე სამუშაოები და ლაბორატიული);
- დემონსტრირების მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- ჯგუფური მუშაობა;

შენიშვნა: პროგრამის სხვადასხვ აკომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში.

პროგრამის სტქრუქტურა

არქეოლოგიის დამატებითი პროგრამის სტუდენტმა უნდა შეისწავლოს:

<u>სავალდებულო კურსები</u> კოდით -HUMARCHGEN- 36 კრედიტი

1. არქეოლოგიის საფუძლები;
2. ქვის ხანის არქეოლოგია;
3. ადრეული ლითონების ხანის არქეოლოგია;
4. შუა საუკუნეების არქეოლოგია;
5. კლასიკური არქეოლოგია;
6. საველე პრაქტიკა

<u>სავალდებულო და/ან სავალდებულო-არჩევითი</u> კოდით HUMARCHGEN/0/0 და 0/HUMARCH/0

შეფასების წესი

შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით. ქულები ნაწილდება და ისაზღვრება შემდეგნაირად:

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი
(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები

- კულტურის სფეროს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები;
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო;
- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული არქეოლოგიური პროექტები.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „არგუსი“;
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა E-learning და მასში ინტეგრირებული პროგრამა Turnitin
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები (მათ შორის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები - ScienceDirect, Scopus, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Clarivate Analytics, SAGE, Cambridge Journals, Directory Of Open Access Journals და სხვა);
- უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრები;
- სალექციო აუდიტორიები;
- პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა;
- აკადემიური წერის ცენტრი: https://writingcentre.iliauni.edu.ge/ge/
- შესაბამისი პროფილის საუნივერსიტეტო ინსტიტუტები: დედამიწის შემსწავლელი ინსტიტუტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი; ცენტრები: პალეოგარემოს რეკონსტრუქციისა და არქეოლოგიური კვლევის სამეცნიერო ცენტრი; კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს კვლევითი ცენტრი; ბაზები: ჭიათურის ბაზა, ვანის ბაზა, დედოფრლისწყაროს ბაზა, სტეფანწმინდის ბაზა, გრიგოლეთის ბაზა.
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი;
- შესაბამისი პროფილის სტუდენტური კლუბები (მაგ, არქეოლოგთა კლუბი, ისტორიკოსთა კლუბი);

- არქეოლოგიური ლაბორატორია;
- გეორადარი.